

საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის საერთო კრების (ყრილობის) დელეგატის სტატუსის განსაზღვრა

1. ზოგადი დებულებები.

არსიან.

- 1.1. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის დელეგატის სტატუსი განისაზღვრება მოცემული დოკუმენტით, თანახმად ფედერაციის წესდებისა;
- 1.2. ფედერაციის დელეგატი ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი უნდა იყოს საქართველოში რეგისტრაციის მატარებელი;
- 1.3. საერთო კრებაზე (ყრილობაზე) დელეგატის ხმის უფლების ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით გადაცემა სხვა პირზე დაიშვება მხოლოდ ფედერაციის წევრი ფიზიკური პირის შემთხვევაში, ხოლო ფედერაციის წევრი იურიდიული პირი ვალდებულია მისი წარმომადგენლის ხმის მიცემაში მონაწილეობის შეუძლებლობის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი, შესაბამისი წერილის საფუძველზე ჩაანაცვლოს სხვა წარმომადგენლი;
- 1.4. საერთო კრებაზე (ყრილობაზე) დელეგატი საერგებლობს ერთი ხმის უფლებით. ერთი და იგივე პირის მიერ ორი და მეტი ხმის უფლებით სარგებლობა დაუშვებელია;

2. დელეგატის სტატუსის განსაზღვრის პროცედურები.

- 2.1. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის საერთო კრებაზე (ყრილობაზე) დამსწრე დელეგატის კრიტერიუმებს ადგენს და სტატუსს განსაზღვრავს ფედერაციის გამგეობა;
- 2.2. საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის დელეგატები ირჩევა ფედერაციის წევრებიდან;
- 2.3. დელეგატის სტატუსის მინიჭების განხილვისას გამგეობის მიერ ფედერაციის წევრი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ მიცემული შენიშვნები გამოსწორებული უნდა იყოს;
- 2.4. დელეგატის სტატუსი ენიჭება ვეტერანთა კავშირს. ეს არის ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანებულები არიან პირები, რომლებიც მოღვაწეობდნენ საავტომობილო სპორტში და ამჟამად აღარ არიან დაკავებული საავტომობილო სპორტით, როგორც სპორტსმენები. ასეთი ორგანიზაცია შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი და ეძლევა ერთი დელეგატის მანდატი;
- 2.5. ფედერაციის წევრზე დელეგატის სტატუსის არ მინიჭების შემთხვევაში, გამგეობა წერილობითი ფორმით (გამგეობის სხდომის ოქმი) განმარტავს უარყოფის მიზეზს;
- 2.6. ფედერაციის დელეგატები ირჩევა ჯერ ფედერაციის წევრი იურიდიული პირებიდან და სახელმწიფოს მიერ დადგენილი თანაფარდობის გათვალისწინებით (3/4 სპორტული ორგანიზაციები და 1/4 ფიზიკური პირები) კომლექტდება ფედერაციის წევრი ფიზიკური პირებიდან;
- 2.7. დელეგატის სტატუსი არ არის მუდმივი და ის მოქმედებს მხოლოდ სტატუსის განსაზღვრიდან პირველივე საერთო კრებაზე (ყრილობაზე);

2.8. ფედერაციის გამგეობა ყოველი ახალი საერთო კრებისთვის (ყრილობისთვის) განსაზღვრავს დელეგატთა ახალ შემადგენლობას;

3. დელეგატის სტატუსის მინიჭების კრიტერიუმები

3.1. დელეგატის სტატუსი არ მიენიჭება ასოცირებულ ან წევრობა შეჩერებულ პირს;

3.2. დელეგატის სტატუსის განსაზღვრისას ფედერაციის წევრებს უპირატესობა მიენიჭებათ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობებიდან ერთ-ერთის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- a. ისეთ იურიდიულ პირს, რომელზეც ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში ფედერაციის მხრიდან ერთხელ მაინც იყო გაცემული ორგანიზატორის ისეთი ლიცენზია და ჩატარებული აქვს შეჯიბრება (ები), რომელში მონაწილეობისთვისაც სავალდებულოა მრბოლელის ლიცენზია;
- b. ისეთ იურიდიულ პირს, რომლის შემადგენლობაში ან გუნდში არის ისეთი ფიზიკური პირი, რომელზეც ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში ფედერაციის მხრიდან ერთხელ მაინც იყო გაცემული მრბოლელის ლიცენზია;
- c. ისეთ იურიდიულ პირს, რომელსაც ბოლო 3 (სამი) წლის განმავლობაში ფედერაციის მხრიდან ჰქონდა ორგანიზატორის ლიცენზია და ჩატარებული აქვს ნებისმიერი ისეთი ღონისძიება (ები), რომლებიც განსაზღვრულია ფედერაციის სპორტული კოდექსით;
- d. ისეთი ფიზიკური პირი წევრები რომლებიც (რომლებსაც):
 - მიმდინარე პერიოდში არიან გამგეობის წევრები და არ არიან წარმოდგენილი იურიდიული პირის სახით;
 - იხდიდნენ ფედერაციის საწევრო გადასახადი და გააჩნიათ გადახდის ისტორია;
 - არიან ვეტერანი ავტო სპორტსმენები;
 - შეტანილი აქვთ წვლილი ან/და ამჟამად განაგრძობენ მოღვაწეობას ავტო სპორტის განვითარების მიზნით;

3.3. წინამდებარე პირობების 3.2. პუნქტით გთვალისწინებული კრიტერიუმები წარმოადგენს დელეგატთა განსაზღვრის პრიორიტეტს და არა სავალდებულო პირობას. გამგეობა უფლებამოსილია თითოეულ დელეგატობის კანდიდატზე მიიღოს გადაწყვეტილება ინდივიდუალურად დამატებითი კრიტერიუმის (ების) მოთხოვნის გათვალისწინებით;

დამტკიცებულია სსსფ-ს გამგეობის მიერ

26 იანვარი 2019 წელი.

გამგეობის სხდომის თავმჯდომარე: _____ / დავით მჭედლიშვილი /

გამგეობის სხდომის მდივანი: _____ / ზურაბ ბაბუციძე /